სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

გარემოსდა-

ცვითი შეფასების დეპარტამენტის

ხელმძღვანელს

სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ შპს **„VVG“** (მის: ბათუმი, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონა, ოპიზრების ქუჩა №10, მიწის საადასტრო კოდი 05.32.10.225) 2015 წლიდან ეწევა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით გასაზღვრულ საქმიანობას, კერძოდ ინერტული მასალებისა (ქვიშა, ღორღი) და სასაქონლო ბეტონის დამზადებას. საწარმოს გააჩნია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში შეთანხმებული აჭარის არ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან, თუმცა

საწარმომ დაგეგმა საკუთარ ტერიტორიაზე კომპანიის კუთვნილი ტრანსპორტის საწვავით გამართვისათვის მოაწყოს ავტოგასამართი უბანი ერთი მიწისზედა 15 ტნ მოცულობის საწვავის (დიზელის) შესანახი რეზერვუარით, რომელსაც ექნება ერთი ჩამოსასხმელი დგარი ერთი ხორთუმით. დიზელის საწვავის რეალიზაცია წელიწადში იქნება 600 ტნ. მოცულობით. გაფრქვევის აღნიშნული წყაროს მოწყობა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით (მე-2 დანართი, მე-6 მუხლი,6.3 ქვე- პუნქტი)ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, რაზედაც სამინისტრო სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ. ამასთან აღსანიშნავია რომ საწარმოში ბოლო ათი წელია არ განხორციელებულა რაიმე სახის ტექნიკური გადაიარაღება ან რეკონსტრუქცია, არ შეცვლილა პროფილი ან სიმძლავრე, არ დამატებულა გამოყოფის ან გაფრქვევის ახალი წყაროები, არ გამოიყენება საწვავი.

საწარმოს გარემოს დამაბინძურებელი წყაროები

საწარმოს გარემოს დაბინძურების წყაროებია: ბალასტის ღია საწყობი (GPS: X=219240.7159, y=4610010.1737), ყბებიანი სამსხვრევი

(GPS:X=219211.6914, y=4610229.1988), ცემენტის ბუნკერი (GPS: X=219250.0553, y=4610048.2911), ჩამდინარე წყლის სალექარი (GPS:X=219200.3001, y=4610042.2794), ღორღის ღია საწყობი (GPS:X=219214.0111, y=4610092.9590. ქვიშის ღია საწყობი (GPS:X=219221.9695, y=4610059.9234), ბეტონამრევი (GPS: X=219267.5574 y=4610073.4397), ავტოგასამართი უბანი (GPS:X=219276.1156, y=4610079.7391). სამი ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი: (№1:GPS:X=219215.5228, y=4610058.1020, №2:GPS:X=219219.9184, y=4610056.3660), (№3: GPS:X=219223.2772, y=4610053.0401).

საწარმოს ადგილმდებარეობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით ,,წყალდაცვითი ზოლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" განსაზღვრულ მოთხოვნებს. ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო დანიშნულების მდინარისეულ ალუვიურ მასალას.

წყალმომარაგების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ჭაბურღილი, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია (№X=219264.1370, Y=4610044.9865). ჭაბურღილზე აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსაგან მიწისქვეშა წყლის საწარმოო მიზნით გამოყენებისათვის 10 წლით მიღებული აქვს ლიცენზია (№000191. გაცემული 14.08.2017წ) 182500 $მ^3$ მოპოვებაზე.

ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წყლის გაწმენდა ხდება სალექარში, რომელიც სამ სექციანია, გაწმენდილი წყალის ჩაშვება ხდება სანიაღვრე არხში. წყალჩაშვების წერტილის კოორდინატებია: (X=219181.1467, Y= 4610051.9861).